

## XX საუკუნის შვეიცარიის განათლების სისტემა და რეფორმა საქართველოში

როსტომ ხომერიკი

ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემია

### ანოტაცია

საქართველოში განათლების სისტემა გასული საუკუნის განმავლობაში ჩამოშორებული იყო ევროპის მოწინავე ქვეყნების მიღწევებს და გამოცდილებას. ის გარდაქმნები, რომლებიც მიმდინარეობს საქართველოს განათლების სისტემაში, არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, რომელთა აღმოფხვრა შეუძლებელია თუ არ გავითვალისწინებთ მოწინავე ქვეყნების მიერ განხორციელებულ რეფორმებს. სტატიაში განხილულია შვეიცარიის განათლების სისტემის ის თავისებურებანი, რომელიც გამოადგება საქართველოს.

შვეიცარია მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე და მაღალგანვითარებული ქვეყანაა, ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა მისი განათლების სისტემის კოპირება საქართველოში, რომელიც განვითარებად ქვეყანად ითვლება, მაგრამ ზოგი რამ ახლავს შეიძლება დაინერგოს, ხოლო დანარჩენი უნდა იყოს პერსპექტიული განვითარების ორიენტირი. მოცემულ სტატიაში განხილულია შვეიცარიის განათლების ყველა საფეხური და ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ მასალებს.

საქართველოს განათლების სისტემა გასული საუკუნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო ევროპისაგან, ამიტომ აუცილებელია, რომ ქართველმა რეფორმატორებმა გაითვალისწინონ ის ფასეულობები, რაც დაგროვდა მოწინავე ქვეყნებში და ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული ჩვენ ქვეყანაში. სტატიაში განხილულია შვეიცარიის განათლების სისტემის ის თავისებურებანი, რომელიც გამოადგება საქართველოს.

შვეიცარიის ტერიტორია 41,3 კვადრატული კილომეტრია, ხოლო მოსახლეობა 7 მილიონი. მათი უმეტესობა შვეიცარელი გერმანელები არიან. შემდეგ მოდიან: შვეიცარელი ფრანგები, მცხოვრებნი დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; შვეიცარელი იტალიელები, მცხოვრებნი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და რეტორომანელები, მცხოვრებნი მაღალმთიან ალპებში. მათი პროცენტული შემადგენლობა ხანგრძლივი დროის მანძილზე უმნიშვნელოდ იცვლება, ისევე როგორც სხვა ნაციონალობის ემიგრანტების.

შვეიცარიაში ოთხი სახელმწიფო ენაა: გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული. დაახლოებით თანაბარია კათოლიკეთა და პროტესტანტთა რაოდენობა. შვეიცარია ფედერალური საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომელიც შედგება 22 კანტონისაგან. ყოველ კანტონს გააჩნია თავისი კონსტიტუცია, პარლამენტი და მთავრობა, მაგრამ მათი უფლებები შეზღუდულია ფედერალური კონსტიტუციით. პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით ფედერალური საბჭოს წევრებიდან. გასულ საუკუნეში შვეიცარია რამდენჯერმე აღმოჩნდა პირველ ადგილზე მსოფლიოში თითოეულ მოქალაქეზე შემოსავლის თვალსაზრისით.

როგორც ჩანს შვეიცარიის ეკონომიკა და სოციალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოსაგან და თუ გავითვალისწინებთ ამ ფაქტორების მნიშვნელოვან

გავლენას განათლების სისტემაზე, ძნელია მივალწიოთ მათ დონეს, მაგრამ ზოგიერთი ფაქტორის გათვალისწინება ნამდვილად წაადგება ქართულ განათლებას.

XV საუკუნეში შვეიცარიაში დაიწყო განათლების ფორმირება და განიცდიდა მოწინავე ქვეყნების გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის გავლენას. ყოველ კანტონში არის სასკოლო კანონები, რომლებიც საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კანტონის სპეციფიკიდან გამომდინარე. კანტონში განათლების საკითხებს კანონის შესაბამისად მართავს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც განაგებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ საკმაოდ დიდ ფინანსებს. [1]

1970 წელს კანტონებს შორის გაფორმდა შეთანხმება სასკოლო განათლების შესახებ. ამ შეთანხმებაში არის რამდენიმე პუნქტი, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ქართველი რეფორმატირების მიერ. სასწავლო წელი იწყება 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე. სასწავლო წელი გრძელდება 38 კვირა, 30-დან 36 საათამდე დღეში, კვირაში 5 დღე. დაწყებით კლასებში დღეში დატვირთვაა 20-30 საათი. მასწავლებელი ატარებს არაუმეტეს 32 საათისა დაწყებით კლასებში და 26 საშუალო სკოლაში. გარდა სახელმწიფო სკოლებისა არსებობენ სხვადასხვა ტიპის კერძო სკოლები, რომლებიც კანტონებისაგან იღებენ ფინანსურ დახმარებას [2].

არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად, შეიძლება სწავლის გაგრძელება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. სრულ საშუალო სკოლებში ოთხი წლის განმავლობაში ისწავლება რელიგია, ფილოსოფია, ლათინური, ბერძნული, მათემატიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ისტორია. სკოლები ამზადებენ მოსწავლეებს რამოდენიმე მიმართულებით: კლასიკური, ჰუმანისტური, საბუნებისმეტყველო-მათემატიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თანამედროვე ენები. სწავლების დიფერენცირება წარმოებს სხვადასხვა დისციპლინების და სხვადასხვა მოცულობის სწავლებით. მოსწავლეები იღებენ ფედერალურ ან კანტონურ სიმწიფის ატესტატებს შესაბამისი პროფილით.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანიზების შესახებ. ამ ტიპის სკოლებში სწავლა გრძელდება 2-დან 4 წლამდე და დამოკიდებულია კონკრეტულ სპეციალობაზე, ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ გაიცემა ფედერალური მოწმობა გარკვეული სპეციალობით. სახელმწიფოს მიერ დაკანონებულია 280 პროფესია. სკოლა შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, მაგრამ ყველა შემთხვევაში იღებს სუფსიდიებს სახელმწიფოსაგან ან პროფესიული ასოციაციებისაგან. არსებობს პროფტექნიკურ სასწავლებელთა სამი ტიპი: ზოგადი, ტექნიკური და მხატვრული. ამ სკოლებში თეორია საერთო დროის მხოლოდ მეხუთედს იკავებს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში პროფტექნიკურ განათლება არ იყო აღიარებული, როგორც განათლების სისტემის ნაწილი. ამჟამად იგი ცნეს და ამზადებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და მომსახურეობის სფეროთა მუშაკებს. მაგალითად, შვეიცარიის საათების მრეწველობის ტექნიკურ სკოლაში ხელოსნების და მექანიკოსების მომზადება-გადამზადება ხდება წარმოებიდან მოწყვეტით 40 საათი კვირაში, დამატებული საშინაო მუშაობის დრო.

შვიდი უმაღლესი სასწავლებელი, რომლებსაც აქვთ უნივერსიტეტის სტატუსი, განლაგებულია ქალაქებში: ბაზელი, ბერნი, ფრიბურგი, ჟენევა, ლოზანა, ნეშატელე და

ციურიხი. მათ გარდა არსებობს რამდენიმე უმაღლესი სკოლა: შვეიცარიის უმაღლესი ტექნიკური სკოლა ციურიხში, ფედერალური უმაღლესი პოლიტექნიკური სკოლა ლოზანაში და სხვა. შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა შედარებით მცირეა. მაგალითად, ციურიხის უნივერსიტეტში, რომელიც უმსხვილესია ქვეყანაში, სწავლობს დაახლოებით ათი ათასი სტუდენტი. შვეიცარიის უნივერსიტეტებში უცხოელი სტუდენტების შეფარდება ადგილობრივებთან ერთ-ერთი მაღალია მსოფლიოს მაშტაბით, რაც მეტყველებს მათ მაღალ ავტორიტეტზე. შეიმჩნევა უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. შვეიცარიელი სტუდენტების რაოდენობა იზრდება ქალი სტუდენტების რაოდენობის ზრდით, თუმცა ეს რაოდენობა მამაკაცებთან შედარებით მაინც საგრძნობლად მცირეა. აღსანიშნავია, რომ ციურიხის უნივერსიტეტი პირველი იყო, რომელმაც 1864 წელს ნება მისცა ქალებს გამხდარიყვნენ სტუდენტები. ასევე უნდა აღინიშნოს სწავლის გადასახადის სიძვირე, რაც გზას უღობავს ახაგაზრდებს უმაღლესი განათლებისაკენ.

უმაღლესი განათლების პოლიტიკა ეყრდნობა კანტონების დამოუკიდებლობის პრინციპს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ფედერალური ხელისუფლება აძლევს თავისუფლებას უნივერსიტეტების ხელმძღვანელობას. ცხადია, რომ ყველა პრობლემას კანტონები ვერ გადაწყვეტენ, რის გამოც შექმნილია განათლების პოლიტიკის დანერგვის უმაღლესი სკოლების კონფედერაცია. მასში შედიან: 2 წარმომადგენელი იმ კანტონებიდან, სადაც მდებარეობს უმაღლესი სკოლა (ერთი უმაღლესი სკოლის, ერთი კანტონის ხელისუფლების); 2 წარმომადგენელი შვეიცარიის უმაღლესი სკოლების საბჭოდან; 2 წარმომადგენელი სტუდენტური კავშირიდან; 1 წარმომადგენელი მეცნიერულ-კვლევათა ნაციონალური ფონდიდან; 2 იმ კანტონებიდან, სადაც არ არის უნივერსიტეტები და 6 დელეგატი სათათბირო ხმით ფედერალური ხელისუფლებიდან[3]. კონფედერაციის კომპეტენციაში შედის: სასწავლო გეგმების შედგენა; გამოცდების ჩატარების წესები; ხარისხების და დიპლომების მინიჭების წესის შემუშავება.

წელიწადში ორჯერ უმაღლესი სკოლის რექტორები აწყობენ კონფერენციებს, რომელთა მიზანია მიაწოდოს კონფედერაციას საქმიანი წინადადებები. კონფერენციებს ესწრებიან რექტორები და თითო მუდმივი წარმომადგენელი უმაღლესი სასწავლებლიდან.

შვეიცარიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უმაღლესი განათლების ფინანსებს. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება ფასიანია, როგორც ფედერალური, ისე საკანონდებლო ხელისუფლება გამოყოფს ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან თანხებს, რომელიც იზრდება ყოველწლიურად. სწავლის გადასახადი მერყეობს, როგორც უნივერსიტეტების, ისე სპეციალობის მიხედვით. სტუდენტთა ნაწილი იღებს სტიპენდიას, რომელიც უტოლდება საარსებო მინიმუმს. ითვალისწინებენ როგორც მოსწრებას, ისე მატერიალურ მდგომარეობას. არსებობს სესხების სისტემას [4].

უნივერსიტეტებს გააჩნით თვითმმართველობა. ყველა უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს საბჭო, რომელთა სახელწოდება სხვადასხვაა, ხოლო შინაარსი ერთი. რექტორი ასრულებს მოვალეობას 1-2 წლის მასძილზე. მას ეხმარება ორი პროფესორი, რომელთაგან ერთი შეასრულებს რექტორის მოვალეობას მომდევნო ვადაში, ხოლო მეორე ასრულებდა ამ მოვალეობას წინა ვადაში.

შვეიცარულ უნივერსიტეტებში ძირითადი სტრუქტურული ერთეულია ფაკულტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს დეკანი. ფაკულტეტების რაოდენობა მერყეობს 4-12-მდე. უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით ფედერალურ უმაღლეს ტექნიკურ სკოლებში ვხვდებით უფრო მცირე დანაყოფებს.

ფედერალური და კანტონური ატესტატები აძლევენ აბიტურიენტებს განსხვავებულ უფლებებს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისას. მაგალითად, სამედიცინო სპეციალობებზე დაიშვებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებსაც გააჩნით ფედერალური ატესტატები. ამ ატესტატებით შეიძლება უგამოცდოთ ჩარიცხვა ლოზანის და ციურიხის ფედერალურ უმაღლეს ტექნიკურ სკოლებში და უნივერსიტეტებში. უმაღლესში შეიძლება ჩააბარონ გამოცდები იმ პირებმაც, რომლებსაც არ გააჩნიათ ატესტატი, მაგრამ მათ უნდა გაიარონ 10-12 მისაღები გამოცდა [5].

აბიტურიენტთა მინიმალური ასაკია 18 წელი. არსებობს თავისუფალი მსმენელის სტატუსი. შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფი იმ სპეციალობებისა, სადაც საგნების არჩევას ეძლევა თავისუფლება:

1. მტკიცედ განსაზღვრული საგნების ნუსხა: თეოლოგია, მედიცინა, ტექნიკური სპეციალობები.
2. შესაძლებელია არჩევანი ნუსხის რამდენიმე კომპოზიციას შორის – ჰუმანიტარული, ეკონომიური, იურიდიული.
3. შედარებით თავისუფალი არჩევანი – დანარჩენი სპეციალობები.

ფრანგულენოვან და გერმანულენოვან უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს ზოგ შემთხვევაში მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოცდების ჩაბარების ორგანიზებაში: ზოგან არსებობს შუალედური გამოცდებიც კი, ხოლო ზოგან სტუდენტი აბარებს გამოცდას, როდესაც იგი თვლის, რომ ამისთვის მზად არის.

სტუდენტები გადიან აუცილებელ სამხედრო მომზადებას რეკრუტის სკოლაში.

სასწავლებლისადმი მინიჭებული ფართო ავტონომიებმა შექმნა სიტუაცია, რომ უმაღლესი განათლების შესახებ დოკუმენტები მრავალფეროვანია, მაგრამ შეიძლება მათი დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად: აკადემიური და პროფესიონალური.

პირველი ტიპის დოკუმენტებს იღებს ის კურსდამთავრებულები, რომლებმაც გაიარეს ღრმა თეორიული მომზადება და ორიენტირებული არიან სამეცნიერო სამუშაოზე, ამასთან ეს დოკუმენტი ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში იძლევა პრაქტიკული მუშაობის უფლებას.

პროფესიონალური დოკუმენტი უმაღლესი განათლების შესახებ იძლევა უფლებას იმუშაოს პროფესიით: ექიმი, ადვოკატი, პედაგოგი და ა.შ. მაგრამ საჭიროა სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება. ზოგ შემთხვევაში (მაგ. მედიცინა) საჭიროა პრაქტიკული კურსის გავლა [6].

რამდენადმე განსხვავებულია სტრუქტურა შვეიცარიის უმაღლეს ტექნიკურ სკოლებში. მის მართვას აწარმოებს პრეზიდენტი, რომელსაც სკოლის საბჭო აძლევს შემდეგ უფლებებს: გამოიყენოს საჭირო კრედიტები; მონაწილეობა მიიღოს თანამშრომელთა დანიშვნის საქმეში. იგი ანაწილებს მატერიალურ რასურსებს და შენობებს, ამუშავებს სკოლის შემდგომი განვითარების პრობლემას. მისი კომპეტენციაა სწავლების და ხარისხის

მინიჭების საკითხები. ასეთ სკოლებში გარდა ტექნიკურისა შედის მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და საბუნებისმეტყველო განყოფილებები.

პირველი 4 სემესტრი სტუდენტები ეცნობიან ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკურ დისციპლინებს. მეხუთე სემესტრიდან სტუდენტები ირჩევენ სპეციალობებს. ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტები იღებენ ლექციების კონსპექტებს, რაც მათ საშუალებას აძლევს არ გაეფანტოს ყურადღება ჩაწერის პროცესში. სწავლის დამთავრებისას სტუდენტები აბარებენ სადიპლომო გამოცდას და იცავენ დიპლომს. ამის შემდეგ დაახლოვებით მეხუთედი აგრძელებს მუშაობას დისერტაციაზე და იღებს დოქტორის ხარისხს. იგი ერთადერთი ხარისხია. დისერტაციის დაცვისათვის ეძლევათ 2-6 წელი. დისერტაციის დაცვაში შედის განყოფილების მხარდაჭერა, რექტორის თანხმობა და გამოქვეყნება. მეორე დისერტაციის დაცვის შემდეგ შესაძლებელია პროფესორის თანამდებობის დაკავება[7].

განათლების საკითხებში შვეიცარია არის შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი:

- უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია;
- ფრანგულენოვანი უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია;
- ევროპის უნივერსიტეტების რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია;
- ევროსაბჭოს უმაღლესი განათლების და მეცნიერულ კვლევეთა კომიტეტი;
- განათლების დარგში ინფორმაციის საერთაშორისო ასოციაცია;
- უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია;

და სხვა.

აქედან აშკარაა რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება შვეიცარიაში საერთაშორისო კავშირებს.

შვეიცარია მსოფლიოში ერთ-ერთი მიწინავე ქვეყანაა, ამიტომ შეცდომა იქნებოდა მისი განათლების სისტემის კოპირება საქართველოში, რომელიც განვითარებად ქვეყანად ითვლება, მაგრამ ზოგი რამ შეიძლება ეხლავე დაინერგოს: პროფესიული განათლების გადაუდებელი განვითარება და დაფინანსება; ბაკალავრების და აქედან გამომდინარე მაგისტრების რაოდენობის შემცირება სახელმწიფო სასწავლებლებში; მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; საგანმანათლებლო სისტემების კონკურსებში არაობიექტურობის აღმოფხვრა და ყველაზე მნიშვნელოვანი-განათლების სისტემის ღირსეულად დაფინანსება. ხოლო ზოგი იყოს პერსპექტიული განვითარების ორიენტირი.

---

Article received: 2007-05-10